

## თამარ სუხიშვილი

### გაწევრება თუ გაწევრიანება?

ამ ბოლო ხანებში ქართულ პრესაში შეინიშნება ერთმანეთის პარალელურად ორი ზმნური ფორმის – **გაწევრება / გაწევრიანება** – გამოყენების შემთხვევები ერთი და იმავე (წევრად ქცევის, წევრად გახდომის) შინაარსით. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ძველ რედაქციაში ეს ფორმები არ არის დამოწმებული, ახალი რედაქციის მიხედვით კი გვაქვს:

**აწევრიანებ**-ს ([გა]აწევრიანა, [გა]უწევრიანებია) გრდმ. წევრად იღებს. ბინათმშენებლობაში აწევრიანებს. – ალიანსი „მომავალი სიღარიბის გარეშე“ 50-მდე არასამთავრობო ორგანიზაციას აწევრიანებს („ახ. 7 დღე“) [ქეგლი I, 2008].

**გააწევრებ**-ს (გააწევრა, გაუწევრებია) წიგნ. ხელოვნ. გრდმ. იგივეა, რაც გააწევრიანებს. ეს გასაგებია, ბატონო, ...მაგრამ ჩინგიზი კიტოვანი შარშან გააწევრეთ. იგი სამი წლით უმცროსია ჩემზე (რ. ჭეიშვი.).

**გააწევრიანებ**-ს (გააწევრიანა, გაუწევრიანებია) ხელოვნ. გრდმ. რაიმეს (ორგანიზაციის...) წევრს გახდის, რაიმე ამხანაგობაში შეიყვანს. [პიტიურიშვილი] ერთოთახიან კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში გააწევრიანებს („თბილ.“) [ქეგლი II, 2010].

**გაწევრდებ**-ა (გაწევრდა, გაწევრებულა) წიგნ. ხელოვნ. გრდლუვ. გააწევრებს ზმნისა. იგივეა, რაც გაწევრიანდება. საქართველო ნატო-ში მაინც გაწევრდება („კვ. პალიტ.“).

**გაწევრიანდება**-ა (გაწევრიანდა, გაწევრიანებულა) ხელოვნ. გრდლუვ. ვნებ. გააწევრიანებს ზმნისა. რაიმე გაერთიანების (პარტიის, საზოგადოების...) წევრი გახდება. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია საერთაშორისო სავაჭრო პალატაში გაწევრიანდა („24 საათ“.)

**გაწევრება** (გაწევრებისა) წიგნ. ხელოვნ. სახელი გააწევრებს, გაწევრდება ზმნათა მოქმედებისა, – იგივეა, რაც გაწევრიანება. ნატო-

ში გაწევრება და ევროკავშირთან ურთიერთობა მხოლოდ საშუალებებია საიმისოდ, რომ საქართველო გამთლიანდეს („კვ. პალიტ.“).

**გაწევრიანება** (გაწევრიანებისა) ხელოვნ. სახელი გააწევრიანებს, გაწევრიანდება ზმნათა მოქმედებისა. განსაკუთრებით კარგად გამოსდიოდა თავორის თარგმნა, მაგრამ საბჭოთა მწერალთა კავშირში გაწევრიანებაზე უარი უთქვამს („ლიტ. საქ.“). [თოხლო] თავიდანვე დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია ბრიგადაში გაწევრიანების ამბავს (გ. ხორგ.).

**გაწევრებულ**-ი (გაწევრებულისა) წიგნ. ხელოვნ. მიმღ. ვნებ. ნამ. იგივეა, რაც გაწევრიანებული. ICAO საერთაშორისო ორგანიზაციაა; მასში 170 ქვეყანაა გაწევრებული („კვ. პალიტ.“).

**გაწევრიანებულ**-ი (გაწევრიანებულისა) ხელოვნ. მიმღ. ვნებ. ნამ. ვინც გააწევრიანეს ან გაწევრიანდა. მწერალთა კავშირში 500 მწერალია გაწევრიანებული („ლიტ. საქ.“) [ქეგლი II, 2010].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს ფორმები ხელოვნურ ფორმებადაა კვალიფიცირებული, მაგრამ წარმოების თვალსაზრისით ისინი ბუნებრივი ჩანს. დასახელებული ტიპის ფორმები არცთუ დიდი ხნის წინ გაჩნდა ენაში და თანდათანობით მკვიდრდება.

ქვემოთ მოყვანილია მაგალითები შემდეგი გაზეთებიდან: „საქართველოს რესპუბლიკა“, „რეზონანსი“ და „ახალი თაობა“ (2017-2018), სადაც აღნიშნული ტიპის ფორმები სინონიმური მნიშვნელობით გვხვდება. კონტექსტი ყველგან ერთია: საქართველოს ნატოში (ევროკავშირში) გაწევრების / გაწევრიანების – საქართველოს ნატოში (ევროკავშირში) მიღების, ნატოს (ევროკავშირის) წევრად გახდომის საკითხი.

## **გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**

### **გაწევრება**

„გამოდის, რომ ამ თვალსაზრისით საქართველო მაინცდამაინც არ პასუხობს ალიანსის სტანდარტებს, მაგრამ მასში მაინც **გაწევრდება?**“ (№143 (8544), 17 ივლისი, 2018, გვ. 3).

„ერევანი იძულებული გახდა ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში **გაწევრებულიყო**“ (19 ივლისი, 2017, გვ. 7).

„პატრიოტთა ალიანსის“ ოფისში მისვლისას დავინტერესდი, თუ როგორ ხდებოდა მასში **გაწევრება**“ (№179 (8316), 5 სექტემბერი, 2017, გვ. 4).

„საზოგადოების დიდი ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, რომ მეხუთე პუნქტის აფხაზეთზე და სამხრეთ ოსეთზე გავრცელების გარეშე ჩვენთვის მიუღებელია ნატოში **გაწევრება**“ (№49 (8450), 10 მარტი, 2018, გვ. 3).

„ნატო სამხედრო ალიანსია, მისი წევრობა, პირველ რიგში სწორედ უსაფრთხოების გარანტიების ილუზიის გამო იზიდავდა საქართველოს მოსახლეობას და თუ ეს გარანტიები არ გავრცელდება აფხაზეთსა და ცხინვალზე, მაშინ საინტერესოა, რა სარგებელი შეუძლია მოუტანოს ამ **გაწევრებამ** ხალხს და სახელმწიფოს“ (№44 (8445), 2018, გვ. 3).

„მაშინ ხალხმა „უმრავლესობით“ მხარი ნატოში **გაწევრებას** დაუჭირა. ბევრმა იცის, რომ ნატოში **გაწევრების** მსურველთა როდენობა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ხელისუფლების გამოცხადებული მონაცემები, მაგრამ მერე რა?!“ (№31 (8432), 13 თებერვალი, 2018).

„ჩვენი საზოგადოების კრიტიკული მასა მხარს უჭერს ევროპულ და დასავლურ ფასეულობებს, საქართველოს ნატოში და ევროკავშირში **გაწევრებას**. მთავარი ეს არის“ (№49 (8450), 10 მარტი, 2018, გვ. 4).

„ის, რომ ნატოში ჩვენს **გაწევრებას** დავაბრალოთ ყველა ჩვენი უბედურება, რაც რუსეთიდან მოდის, ეს უკვე აბსურდულია“ (№49 (8450), 10 მარტი, 2018, გვ. 4).

„რუსეთისთვის კიევის ნატოში **გაწევრებას** სულ სხვა მნიშვნელობა აქვს“ (№143 (8544), 17 ივლისი, 2018, გვ. 3).

„ამიერიდან რომელიმე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის ნატოში **გაწევრებას** რუსეთი აღარ დაუშვებს“ (№44 (8445), 2018, გვ. 6).

„ამერიკელი ექსპერტის ლუკ კოფის „გეგმა“ საქართველოს ნატოში **გაწევრებასთან** დაკავშირებით რომ განგამის ზარების მსგავსი რამ იყო, გასაკვირი არ არის“ (№44 (8445), 2018, გვ. 6).

„მსურს მკაფიოდ განვაცხადოთ, რომ საქართველოსთან მიმართებით ვმუშაობთ ნატოში **გაწევრებაზე**“ (№110 (8511), 2018, გვ. 2).

„90-იან წლებში, როდესაც არ არსებობდა ნატო და ევროკავშირში **გაწევრების** იდეა, რუსეთმა უკვე მოასწრო და დაგვიშავა“ (№49 (8450), 10 მარტი, 2018, გვ. 4).

„იქნებ საქართველოს ხელისუფლების ბრალეულობაც არის და არა მარტო ამ ხელისუფლების, რომ კარგად და სწორად ვერ გააგებინა ქართულ საზოგადოებას, რა არის ნატო, ევროკავშირი და რა კეთილდღეობა შეიძლება მიიღოს ამ ორგანიზაციაში **გაწევრების** შემთხვევაში?“ (№49 (8450), 10 მარტი, 2018, გვ. 4).

„გამოდის, რომ ნატოში **გაწევრების** საკითხში საქართველოს უფრო მეტი შანსი აქვს, ვიდრე უკრაინას?“ (№143 (8544), 17 ივლისი, 2018, გვ. 3).

„მაგრამ ფაქტია, რომ „რუსეთისგან დაცვა“ ნატოს ჯარების მეშვეობით საქართველოს ალიანსში **გაწევრების** მთავარ მიზანს წარმოადგენს“ (№143 (8544), 17 ივლისი, 2018, გვ. 3).

„ნატოს ბუქარესტის სამიტზე... ალიანსში **გაწევრების** დაპირება მიიღო“ (№44 (8445), 2018, გვ. 6).

„...შეიძლება ითქვას, თეორიული შანსიც აღარ დაუტოვა საქართველოს „ნატო“-ში **გაწევრების!**“ (19 ივლისი, 2017, გვ. 4)

„ჩვენ გვწამს, რომ საქართველო მზად არის ნატოში **გაწევრებისათვის**“ (24 აპრილი, 2018, გვ. 2).

„თქვენ რომ ქართველ სამხედრო მეთაურებს პირადული საუბრის დროს ჰკითხოთ – „მაინც რისი მიღწევა გასურთ ნატოში **გაწევრებით**“, საეჭვოა, მათ გიჰასუბონ – გვინდა ახალი დასავლური იარაღი“ (№143 (8544), 17 ივლისი, 2018, გვ. 3).

„მასში [ნატოში] ევროპის ქვეყნები და აშშ კი არიან **გაწევრებული**, მაგრამ ის მაინც საერთაშორისო ორგანიზაციაა, საქართველო კი, როგორც ნაწილობრივ დაპყრობილი ქვეყანა, მაინც მოლაპარაკებათა საშუაშაველო ფორმატით წარმოებაზეა ორიენტირებული“ (№179 (8316), 5 სექტემბერი, 2017, გვ. 4).

„ქვეყანა არც ნატოში არაა ჯერ **გაწევრებული**, მრავალწლიანი მცდელობის მიუხედავად“ (№54-55 (8455-8456), 17 მარტი, 2018, გვ. 2).

„ჩვენ არ ვიცით, რა ხდება ევროკავშირსა და ნატოში, რა პირობებში არიან იქ **გაწევრებული** ქვეყნები“ (№212 (8613), 2018, გვ. 6).

„...საქართველო, უკრაინა და სხვა ქვეყნები, რომლებიც შეიძლება იყვნენ რუსეთის დომინირების პოტენციური სფეროები, უნდა

იყვნენ ნატოსა და ევროკავშირში **გაწევრებულნი** და შეერთებულ შტატებთან დაახლოებულნი...“ (№54-55 (8455-8456), 17 მარტი, 2018, გვ. 2).

„საქართველომ ყველა ნაკისრი ვალდებულება და მოთხოვნა შეასრულა ნატოში **გასაწევრებლად**, რაც თავად ნატოს მიერაცაა აღიარებული“ (№54-55 (8455-8456), 17 მარტი, 2018, გვ. 2).

„ალიანსში **გასაწევრებლად** მაპი არც საქართველოს სჭირდება (ქვეყანას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს!“ (№44 (8445), 2018, გვ. 3).

### **გაწევრიანება // გაწევრება**

*ილუსტრაციები, რომლებშიც ორივე ფორმა ერთ სტატიამი, ერთმანეთის გვერდით გვხვდება:*

„რაში გამოიხატება ყველაზე ძირითადი პრობლემა საქართველოსა და უკრაინის ნატოში **გაწევრიანების** გზაზე?“ (№138 (8275), 12 ივლისი, 2017, გვ.4).

*იქვე:* „ნატოში არიან „სკეპტიკოსი ქვეყნები“, რომლებთანაც რუსეთის გალიზიანება არ სურთ და ამიტომ ალიანსში საქართველოსა და უკრაინის **გაწევრება** უნდა გადაიდოსო“... „ამას ემატება არაფორმალური მოთხოვნა **გაწევრების** კანდიდატი ქვეყნებისადმი...“ „არსებობენ სხვა ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან ნატოში **გაწევრებას**“ (№138 (8275), 12 ივლისი, 2017, გვ.4).

„ნატოში **გაწევრიანების** შემთხვევაში საქართველო რუსეთს გაუზრდის საქმეს?“ (№243-244 (8380-8381), 1 ნოემბერი, 2017, გვ. 8).

*იქვე:* „ნატოში **გაწევრება** მაშინ, როცა საკუთარი საზღვრის მთლიან პერიმეტრს ვერ აკონტროლებ, ძალიან ძნელია.“ „...საქართველოს ნატოში **გაწევრება** ურთულდება. აუცილებელია მოთმინება“.

### **გაწევრიანება**

*გაწევრიანება ფორმა ამ გამოცემაში იშვიათად გვხვდება.*

„ამასთან, ითქვა, რომ საქართველოს გააჩნია ყველა ინსტრუმენტი, მოემზადოს ნატოს წევრობისათვის. ეს იყო განახლებული დაპირება იმისა, რომ ჩვენ ალიანსში **გაწევრიანდებით**“ (№153 (8554), 2018, გვ. 5).

„უნდოდათ თუ არა, რომ საქართველო ნატოში **გაწევრიანებულ-**

**ლიყო** რუსეთთან ურთიერთობის საზიანოდ?“ (№157-158, 2017, გვ. 13).

„დოკუმენტებში საქართველოს **გაწვევრიანება** ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში შეფასებულია, როგორც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი...“ (№231 (8368), 11 ნოემბერი, 2017, გვ. 2).

„2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, მოსახლეობის უდიდეს ნაწილში არის დიდი იმედგაცრუება, თუმცა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა აშშ-ის საელჩოს და მათ მიერ წარმოდგენილი ექსპერტის, ბატონ ლუკ კოფის შემოთავაზებამ, საქართველოს **გაწვევრიანებაზე** ნატოში“ (№44 (8445), 2018, გვ. 3).

„ორიოდ წუთში კი იგივე ზახაროვამ ბრძანა, „ნატო რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ამიტომ ალიანსში საქართველოს **გაწვევრიანების** შემთხვევაში მოსკოვი ადეკვატურ საპასუხო ზომებს მიიღებს“ (№212 (8613), 2018, გვ. 8).

„...MAP-ის საფეხური იმ წუთშივე იქნება გადალახული, როგორც კი **გაწვევრიანების** საკითხი მომწიფდება“ (№153 (8554), 2018, გვ. 5).

### **გაზეთი „რეზონანსი“**

„თუ ნატოში **გაწვევრიანდებით**, მე ვიცი, რომ ისევ არევ-დარევა დაიწყება...“ (№053 (09067), 12 მარტი, 2018, გვ. 6)

„საქართველოს ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ქვეყანა ევროკავშირსა და ნატოში **გაწვევრიანდება**...“ (№053 (09067), 12 მარტი, 2018, გვ. 6)

„გაქტია, რომ „სამხრეთ ოსეთის“ არადიარებულ საზღვართან არსებული სოფლების მოსახლეობას არ სჯერა, რომ საქართველო ნატოში **გაწვევრიანდება**“ (№053 (09067), 12 მარტი, 2018, გვ. 6).

„საქართველოს ნატო-ში შესაძლო **გაწვევრიანება** ცხინვალში შემოფოთებას იწვევს“ (№143 (9154), 5 ივლისი, 2018, გვ. 3).

„ამერიკა მოუთმენლად ელის საქართველოს **გაწვევრიანებას** ნატო-ში“ (№129 (9140), 18 ივნისი, 2018, გვ. 3).

„ამიტომ დღეს შეგვიძლია, იმედით ვუყუროთ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს **გაწვევრიანების** პერსპექტივას“ (№129 (9140), 18 ივნისი, 2018, გვ. 3).

„სამიტზე დაფიქსრებული იქნება ის პროგრესი, რომელსაც

საქართველომ **გაწევრიანების** გზაზე მიაღწია“ (№143 (9154), 5 ივლისი, 2018, გვ. 3).

„როგორც კი დადგება **გაწევრიანების** შანსი, ევროპული განწყობა ისევ გაძლიერდება...“ „...მთავრობამ მეტი უნდა იმუშაოს, რომ ყოველმა ადამიანმა დაიჯეროს ევროპული ორიენტაციის უპირატესობა, რასაც საქართველო ევროკავშირში **გაწევრიანებით** მიიღებს“ (№053 (09067), 12 მარტი, 2018, გვ. 6).

### **გაზეთი „ახალი თაობა“**

„...საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში 2021 წელს **გაწევრიანდება**“ (№157 (7702), 5 ივლისი, 2018, გვ. 8).

„იმედგაცრუება რით გამოიხატება? მოსახლეობის დიდი ნაწილი ნატოში საქართველოს **გაწევრიანებას** უჭერს მხარს“ (14 აგვისტო, 2017, გვ. 5).

„აშშ დააყენებს უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში **გაწევრიანების** საკითხს...“ „...უკრაინის **გაწევრიანებისაკენ** ნატოს პირდაპირ მოუწოდებს უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო. ნატოში **გაწევრიანებისათვის** ეს საკმარისი არ არის“ (№157 (7702), 5 ივლისი, 2018, გვ. 8).

მოცემულ მაგალითებზე დაყრდნობით, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რომელი ვარიანტი უნდა ავირჩიოთ ამ შემთხვევაში, **გაწევრება** თუ **გაწევრიანება**? აღნიშნულ გაზეთებში შეინიშნება ფორმათა შერჩევის ტენდენციაც: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, როგორც წესი, „გაწევრება“ ფორმისკენ იხრება (თუმცა შეინიშნება „გაწევრიანება“ ფორმის ხმარების შემთხვევებიც, მაგრამ შედარებით იშვიათად), სხვაგან კი „გაწევრიანება“ ფორმა სჭარბობს.

ორივე ფორმა: **გაწევრებაც** (მოქმ. (გა)-ა-წევრ-ებ-ს, (გა)-ა-წევრ-ა, გა-უ-წევრ-ებ-ი-ა, ვნებ. (გა)-წევრ-დ-ებ-ა, გა-წევრ-დ-ა, გა-წევრ-ებულ-ა, საწყ. გაწევრ-ებ-ა, მიძლ. გაწევრებულ-ი, გა-საწევრებელ-ი და ა. შ.) და **გაწევრიანებაც** (მოქმ. (გა)-ა-წევრიან-ებ-ს, (გა)-ა-წევრიან-ა, გა-უ-წევრიან-ებ-ია, ვნებ. (გა)-წევრიან-დ-ებ-ა, გა-წევრიან-დ-ა, გა-

*წევრიან-ებულ-ა, საწყ. გაწევრიან-ებ-ა, მიმღ. გაწევრიანებულ-ი, გა-საწევრიანებულ-ი და ა.შ.)* სახელიდანაა (*წევრ-ი, წევრიან-ი*) ნაწარმოები. **გაწევრების** შემთხვევაში სახელის ფუძედ გვაქვს **წევრ-**, ხოლო გაწევრიანების შემთხვევაში – *წევრ-* ფუძიდან *-იან* სუფიქსის დართვით ნაწარმოები ქონების სახელი **წევრიან-** (წევრის პატრონი; ის, ვისაც ჰყავს წევრი).

უნდა აღინიშნოს, რომ წევრი არ არის დადასტურებული ძველ ქართულში. ეს სიტყვა შედარებით ახალი შემოსულია ენაში, როგორც ჩანს, თავდაპირველად სამეცნიერო ტერმინის მნიშვნელობით. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის 1991-1993 წლების გამოცემაში **წევრი** შედარებულია **ნაწევართან** (*ნაწევარი... სახსართ შედგმულობა*), მაგრამ განმარტება კავებშია ჩასმული, ის საბას არ ეკუთვნის და გვიანდელი დამატებაა.

*წევრ-ი (წევრისა) 1. ცალკე პიროვნება, როგორც ადამიანთა კოლექტივის შემადგენელი ნაწილი... // არჩეული (ან დანიშნული) თანამშრომელი რაიმე დროებითი ან მუდმივი ორგანოსი, დაწესებულებისა... // რაიმე ნებაყოფლობითი ორგანიზაციის მონაწილე* [ქეგლი VIII, 1964].

1. ქეგლში ილუსტრაციები დამოწმებულია ა. წერეთლის, ივ. ჯავახიშვილის, დ. კლდიაშვილისა და გ. წერეთლის თხზულებებიდან. სხვათა შორის, უფრო ადრინდელი ჩანს პლატონ იოსელიანთან დამოწმებული **მწევრ-** ფორმა (*მწევრ-თა*): „დაჰყვეს ოჯახები და დაბადეს ურჩები და მედიდურობა **სახლისა მწევრთა** შორის“ [იოსელიანი 1978: 13].

2. მათემ. პროპორციაში ან განტოლებაში შემავალი ცალკეული მათემატიკური სიდიდე. 3. გრამატ. წინადადებაში შემავალი ცალკეული სიტყვა. 4. ძვ. გრამატ. ნაწევარი, ართრონი. 5. იგივეა, რაც ასო (მნიშვნ. 1: ცხოველის სხეულის ცალკეული ნაწილი, ორგანო...). 6. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. მრავალწევრი. ერთწევრი. ორწევრი. თანაწევრი... -წევრიანი რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ერთწევრიანი. მრავალწევრიანი [ქეგლი VIII, 1964].

ერთწევრიანი... ერთი წევრისაგან შემდგარი. ერთწევრიანი წინადადება [ქეგლი III, 1953].



მრავალწევრ-ი მათემ. ალგებრული გამოსახულება, რომელიც რამდენიმე ერთწევრის ჯამს ან სხვაობას წარმოადგენს.

**მრავალწევრიანი**-ი მრავალი წევრისგან შემდგარი. დიდი, მრავალწევრიანი ოჯახის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა რაზმში ბავშვთა შრიამული (დ. ბაქრ.), [ქეგლი V, 1958].

**ა-წევრ-ებ-ს** ტიპის, **ა+სახელის ფუძე+სუფიქსი** (resp. **თემის ნი-შანი**) – მოდელის მიხედვით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნები და მათი კონვერსიული სუფიქსიანი ვნებითის ფორმები გარდაქცევითობას გამოხატავენ (თუმცა ყველა შემთხვევაში ასე არაა): აწევრებს – წევრდება, აღორებს – ღორდება, აკაცებს – კაცდება, ამხეცებს – მხეცდება, აწყალებს – წყალდება, აორებს – ორდება, ათეთრებს – თეთრდება და ა. შ.

ბ. ჯორბენაძე შენიშნავს, რომ „წმინდა“ გარდაქცევითობა სწორედ გარდაუვალი ფორმებისთვისაა დამახასიათებელი: „ფორმაში **ათეთრებს** (ის მას) „გარდაქცევას“ („გარდაქმნას“) განიცდის რეალური ობიექტი, რომელზედაც უშუალოდ გადადის სუბიექტის (ქვემდებარის) მოქმედება. ამდენად, გარდამავალი ზმნის ეს ფორმა „გარდაქცევითობის ფუნქციის“ აღნიშვნასთან ერთად სხვა შინაარსის მატარებელიცაა, კერძოდ, იმ შინაარსისა, რომელიც ყველა სხვა მოქმედებითი გვარის ფორმებისათვისაც არის დამახასიათებელი. ხოლო ამ ზმნის კონვერსიულ **თეთრდება** ფორმაში უკვე ამკარად სჭარბობს, ხელშესახებადაა წინა პლანზე წამოწეული „გარდაქცევითობის შინაარსი“. ეს იმითაც ჩანს განპირობებული, რომ ამ ფორმაში ქვემდებარედ სწორედ ის რეალური ობიექტია წარმოდგენილი, რომელიც გარდამავალ კონსტრუქციაში „გარდაქცევას“ განიცდის“ [ჯორბენაძე 1975: 139]. შემდგომში ჩვენც ძირითადად ვნებითი გვარის ფორმებს დავიმოწმებთ, სადაც უფრო კარგადაა წარმოჩენილი გარდაქცევითობის შინაარსი.

**ა-წევრ-ებ-ს** ტიპის ზმნათა ერთ ნაწილს პარალელური – **ა-წევრიანი-ებ-ს** ტიპის ფორმები უდასტურდება, სადაც **ა+სახელის ფუძე+სუფიქსი** მოდელში სახელის ფუძედ –*იან* სუფიქსიანი ქონების სახელია გამოყენებული: აწყალებს – აწყლიანებს, ახალისებს – ახალისიანებს, აცოფებს – აცოფიანებს, აერთებს – აერთიანებს, ამთელებს – ამთლიანებს, ააზრებს – ააზრიანებს და ა. შ. ამასთან, **აწევრებს** ტიპის ცალების მსგავსად, გვაქვს **აწევრიანებს** ტიპის ცალებიც, შესაბამისი წყვილულების გარეშე. მაგალითად, გვაქვს, ერთი

მხრივ, *ამხეცებს* და არ გვაქვს *ამხეციანებს* და, მეორე მხრივ, გვაქვს *აქეციანებს*, მაგრამ არ გვაქვს *აქეცებს*. თუმცა თეორიულად ამ ფორმათა არსებობა დასაშვებია.

*აწევრებს* – *აწევრიანებს* ტიპის ფორმები გრამატიკულ სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს („გრამატიკული სინონიმები ფუნქციურად მსგავსი გრამატიკული მაჩვენებლების მქონე ერთნაირ სიტყვებს ეწოდება“ [დამბაშიძე 1986: 37]), რადგან ამ სინონიმურ წყვილებში ერთმანეთს უპირისპირდებიან მნიშვნელობით ახლომდგომი და ფორმით განსხვავებული – როგორც განსხვავებულსუფიქსიანი: *სამკუთხ-იან-ი* და *სამკუთხ-ა*, ისე ნულოვანი და სუფიქსიანი ცალები: *სამფერ-ი* და *სამფერ-ოვან-ი*, *უმრეტ-ი* და *დაუმრეტ-ელ-ი...* *გაწევრ-ებ-ა* – *გაწევრ-იან-ებ-ა* დაპირისპირებაში ნულოვანი მაჩვენებელი უპირისპირდება ქონების *-იან* მაჩვენებელს.

ქველში *გაწევრება* – *გაწევრიანება* ტიპის პარალელური სინონიმური ფორმები ზოგჯერ ერთმანეთის განსამარტავადაცა გამოყენებული და ერთმანეთისაგან მძიმითა და ტირეთია გამოყოფილი, როგორც მნიშვნელობით ახლომდგომი სიტყვები (და არა როგორც აბსოლუტური სინონიმები); ან განსხვავებულ მნიშვნელობად არის წარმოდგენილი, ან კვალიფიცირებულია როგორც იგივე; გრამატიკული დაპირისპირება ასეთი წყვილების ცალებს შორის გარკვეულწილად ნეიტრალიზებულებს ჩანს. შდრ.:

*გააცოფებ-ს...* გრდმ. *ცოფს შეჰყრის*, – *გააცოფიანებს*. *ძალის სიცხემ გააცოფა*.

*გააცლფიანებ-ს...* გრდმ. *ცოფიანს გახდის*, *ცოფს შეჰყრის*. *ძალს გააცოფიანებს* [ქეგლი II, 1951].

*აერთებ-ს...* გრდმ. 1. *ერთად კრებს...* 2. *ერთიანს ხდის*. *აკავშირებს*.

*აერთიანებ-ს...* გრდმ. 1. *ერთიანს ხდის*. *ამთლიანებს*, *ერთად კრებს*, *ერთმანეთთან აკავშირებს* [ახ. ქეგლი I, 2008].

*გაახალისებ-ს...* გრდმ. *ხალისს მისცემს*, *ხალისს მოჰკვრის*, *ხალისიანს გახდის*, – *გამოაცოცხლებს*.

*გაახალისიანებ-ს...* გრდმ. *იგივეა, რაც გაახალისებს...* [ქეგლი II, 1951].

*გაწევრება* – *გაწევრიანების* დაპირისპირებაში კი მნიშვნელობათა ასეთი სიახლოვე არ ჩანს. პირიქით, მნიშვნელობათა დაპირისპირებაა ხელშესახები. ვფიქრობთ, წევრად გახდომის მნიშვნელო-

ბით **გაწევრება** (და შესაბამისი ზმნური და სახელზმნური დერივატების) ფორმის გამოყენება უფრო მიზანშეწონილი და ზუსტი ჩანს, ვიდრე **გაწევრიანებისა**; რადგან **გაწევრება** სხვის წევრად გახდომას გულისხმობს, **გაწევრიანება** კი - წევრის მომატებას, წევრის მიღებას. ზემოთ განხილულ კონტექსტშიც ქვეყანა თვითონ კი არ იღებს წევრს საკუთარ (საკუთარი ორგანიზაციის და ა.შ.) შემადგენლობაში, არამედ თვითონ ხდება რაიმე ორგანიზაციის (ნატოს, ევროკავშირის...) წევრი, თვითონ წევრდება. შდრ. **გაწევრების** ანალოგიური ფორმები – **გაერთება, გამთელება**:

„ჩემი სამშობლო ქართლი! ჩემი უსაყვარლესი მამული საქართველოს გაერთება“ (ალ. ორბ.) [ქრესტ. 1979: 258].

„...სხვა რაღა შემიძლია სრულიად დაკუწვილსა? ის გლეხი კი კარგად **გამთელდა**, აღარ შორდება ბატონიშვილსა...“ (ალ. ორბ.) [ქრესტ. 1979: 266].

„მეც **შემოგაერთებ** ჩემს ლოცვას...“ (გრ. რჩეულ.) [ქრესტ. 1979: 312].

„ადვილი ყოფილა ჩვენი **გაერთება** და ერთმანეთის სიყვარული... აქამდისინ როგორ ძნელათ მიგვაჩნდა **გაერთება** და ერთი ერთმანეთს არ ვენდობოდით“ (ალ. ორბ.) [ქრესტ. 1979: 177].

„ჩემმა მომნათლავმა მეფე თეიმურაზმა, ეს ერთი კვირა იქნება, მე ერთს ყმაწვილს კაცზე ჯვარი დამწერა, აქ ამ სიმაგრეში, საქართველოს კაიკაცის შვილზე, რომ ესე სახლი მკვიდრად **გაერთებულ იყვნენ** ერთმანეთში, ოჯახების განსაძლიერებლად. იგი, ოჯახების **გაერთება** არის, მაგარი სვეტი საქართველოსი!“ (ალ. ორბ.) [ქრესტ. 1979: 22].

„ახლა კი იმედი მაქვს საქართველოც **გამთელდება**...“ (ალ. ორბ.) [ქრესტ. 1979: 230].

თუ დავესესხებით დ. ლოტეს შეფასებას, რომელსაც მეცნიერი ტერმინთა აღწერისას იყენებს, შეიძლება ითქვას, რომ **გაწევრიანების** შემთხვევაში ცრუ მაორიენტირებელი, ანუ მცდარად მაორიენტირებელი სახელდება გვაქვს. ტერმინი ცრუ მაორიენტირებელი (მცდარად მაორიენტირებელი) მიემართება ისეთ სიტყვებს, რომელთა პირდაპირი მნიშვნელობა ეწინააღმდეგება ტერმინის ნამდვილ მნიშვნელობას და არასწორად ასახავს ცნებას [დამოწმებულია: ღამბაშიძე 1986: 15]. ასეა **გაწევრიანებაც**, რომელიც, მართალია, დადასტურებულია ენაში, მაგრამ, ვფიქრობთ (**გაერთიანება, გამთლიანე-**

ბა... ფორმების ანალოგიით), მცდარად ასახავს წევრობის, წევრად გახდომის, შინაარსს, რომელიც უფრო მართებულად **გაწევრება** ფორმით გამოიხატება (*შდრ. ასევე, გაამხანაგება, – ამხანაგად გახდომა. // რაიმე საქმიანობაში მონაწილედ გახდომა* [ქეგლი II, 1951]):

**აწევრებს** – ის მას რაიმეს (ორგანიზაციის, დაჯგუფების...) წევრად ხდის, **აწევრიანებს** – ის მას წევრიანს ხდის, წევრს შემატებს, წევრს შესძენს

**წევრდება** – ის რაიმეს (ორგანიზაციის, დაჯგუფების...) წევრი თვითონ ხდება, **წევრიანდება** – ის თვითონ ხდება წევრიანი, თვითონ იღებს, იმატებს წევრს (წევრებს).

როდესაც ქვეყნის დღის წესრიგში ნატოში (ევროკავშირში...) შესვლის საკითხი დგება, ლაპარაკია საქართველოს შესაძლო წევრობაზე ნატოში (ევროკავშირში...) და არა – წევრიანობაზე:

*„შევეცადოთ, ერთად შევეწინააღმდეგოთ აგრესიას... შევძლოთ როგორც ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, ასევე, ევროპული და ევროატლანტიკური ოჯახის სრულფასოვანი წევრობა“* („საქ. რესპ.“, №139, 13 ივლისი, 2017, გვ. 2).

*„ყველა ეს პროექტი არის წევრობის მომზადების მექანიზმი“* („საქ. რესპ.“, №49 (8450), 10 მარტი, 2018, გვ. 4).

*„ჩვენ აუცილებლად MAP-ის გავლით უნდა გავხდეთ ალიანსის წევრები. ჩვენი ამბიცია არის წევრობა...“* („საქ. რესპ.“, №54-55 (8455-8456), 17 მარტი, 2018, გვ. 9).

*„გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რომ ევროკავშირმაც და ნატომაც უფრო აქტიურად ითანამშრომლონ არაწევრ ქვეყნებთან. საქართველო ასრულებს საკუთარი ამბიციური რეფორმების დღის წესრიგს, რათა უზრუნველყოს ნატოს წევრობის კრიტერიუმების დაკმაყოფილება. ჩვენ გვწამს, რომ საქართველო მზად არის ნატოში გაწევრებისათვის“* („საქ. რესპ.“, 24 აპრილი, 2018, გვ. 2).

საქართველოს პოლიტიკური მიზანი ამ ეტაპზე ნატოს წევრად ყოფნა, ნატოს წევრობაა (და არა ნატოს წევრიანობა); ნატოს წევრიანობა არ აკლია, ჩვენ ნატოს წევრობის კანდიდატი ვართ და არა – ნატოს წევრიანობის, ნატო უჩვენოდაც [მრავალ]წევრიანია. ამასთან, არსებობს „წევრ“ სიტყვიდან ნაწარმოები უკვე დამკვიდრებული „საწევრო“ და არა „საწევრიანო“.

## ლიტერატურა

**იოსელიანი 1978** – პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბილისი.

**ორბელიანი 1991-1993** – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ორ ტომად (ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებები დაურთო ი. აბულაძემ), თბილისი.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, რედაქტორი ა. არაბული, თბილისი, ტომი I, 2008, ტომი II, 2010.

**ქრესტ. 1979** – ახალი ქართული ლიტერატურა (XIX ს.), ქრესტომათია, I ნაწილი, თბილისი.

**ღამბაშიძე 1986** – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.

**ჯორბენაძე 1975** – ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი.

Tamar Sukhishvili

### ***gaçevreba* “Becoming a Member” or *gaçevrianeba* “Increase in the Membership”?**

Summary

The parallel uses of the two verbal forms *gaçevreba* – *gaçevrianeba* with the identical meaning (to become a member of something, organization, society, etc.) have recently been attested in the Georgian printed media. The paper focuses on the illustrations from the following newspapers: “Sakartvelos Respublica”, “Resonansi”, and “Akhali Taoba” (2017-2018), including these forms with synonymous meaning. Which option should be chosen between the two forms *gaçevreba* or

*gaçevrianeba*? The presented illustrations actually lead us to this question. Both verbs are formed from a noun. *(ga)-çevr-eb-a* is made up of the noun stem *çevr-* (a member), while *(ga)-çevr-ian-eb-a* is made up of the derived noun stem *çevr-ian*: (noun *çevr* (a member) + suffix *-ian*), meaning the one who has a member.

The forms of the same type as *gaçevreba – gaçevrianeba* can be considered as grammatical synonyms. In the opposition *gaçevreba – gaçevrianeba*, a zero marker opposes the marker *-ian* indicating property. But in a number of forms of this type grammatical opposition has been neutralized and hence, the members of these couples have almost identical meaning. On the analogy of these forms meaning coincidence between the two forms *gaçevreba – gaçevrianeba* seems to occur. However, there is no reason for meaning coincidence between them, on the contrary, the meaning difference is obvious.

*gaçevreba* – to become a member of something (organization, society, etc.).

*gaçevrianeba* – to admit a member into something (organization, society, etc.), to have an increase in the membership.